



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

საქართველო და ევრო: მცირე კვეყანა უსაფრთხოების
პირაპი

გიორგი ბაზრიძე

141

ეპსკონტის კონკი





საქართველოს სტრატეგიულის და საერთაშორისო ურთისებებისათვის კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

გიორგი გადრიძე

საქართველო და ნაცო: მცირე პვეყანა უსაფრთხოების
პირაპი

141

2020



პუბლიკაცია დაბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების
საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში
გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და
შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და
საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის
გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი,
მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული
მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის
ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2020 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყვითალოებული საქართველოს სრულად არასდროს უგრძენია ცივი ომის დასრულების სიკეთე. გაშინ, როდესაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობა უვრობს უბრუნდებოდა (და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ერთიანდებოდა), საქართველოს უნევდა ყოფილი იმპერიული მმრდანებლისგან თავისი საზღვრებისა და სუვერენიტეტის დასაცავად ბრძოლა. რთული დასაწყისის და მრავალი ნაოუმატებლობის მიუხედავად, ქვეყანამ რეფორმებით მაინც მოახერხა მნიშვნელოვანი ნინსვლა ევროპული დემოკრატიის მშენებლობის გზაზე და მჭიდრო თანამშრომლობა დაამყარა ნატოსთან (და ევროკავშირთან), მაგრამ მისი მთავარი მიზნის – ამ ორგანიზაციაში განევრიანების – პერსპექტივა კვლავაც ბუნდოვანია. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მტკიცედ უჯერს მხარს ნატოს წევრობას და წლების განმავლობაში ქვეყანას ნატოს ოპერაციების უფრო დიდი წელილი შეაქვს, ვიდრე ალიანსის მრავალ წევრს. ამის მიუხედავად, რამდენადაც უცხაური არ უნდა იყოს, საქართველოს განევრიანება წინაღობას აწყდება არა მხოლოდ რუსეთის, არამედ თავად ნატოს შიდა წინააღმდეგობებისა და წევრ ქვეყნებს შორის ერთიანობის არარსებობის გამო. წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოს ნატოსკენ სვლის ისტორია და დასაბუთებულია ალიანსში საქართველოს წევრობის აუცილებლობა.

თავისი ისტორიის მანძილზე მსოფლიო იშვიათად შეცვლილა ისე სწრაფად და ისე მნიშვნელოვნად, როგორც 1980-1990-იანი წლების მიჯნაზე. ეს ცვლილებები ყველაზე მძაფრად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას შეეხო. სულ რამდენიმე წელიწადში დასრულდა ცივი ომი, გაერთიანდა გერმანია, საბჭოთა ბლოკში ხავერდოვანმა დემოკრატიულმა რევოლუციიებმა წალეკეს კომუნისტური რეჟიმები და თავად საბჭოთა კავშირიც ჩამოიშალა. ჩემი სტუდენტობა სწორედ ამ ხანას დაემთხვა. როდესაც 1985 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი, საქართველო უიმედოდ იყო ჩარჩენილი საბჭოთა კავშირის მმართველობაში და ცივი ომი მძვინვარებდა. მაშინ სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩემი სწავლის დასრულებისთვის საქართველო დამოუკიდებლობას აღიდგენდა, ხოლო მე მის ახლადშექმნილ დიპლომატიურ სამსახურში ჩავდგებოდი. მართალია, საბჭოთა კავშირის ჩამოშლა ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, მაგრამ ეს ამ ქვეყნის უვარების ეკონომიკური სისტემისა და იდეოლოგიის შედეგი იყო. რაც მთავარია, ისევე, როგორ მისი წინამორბედი – რუსეთის იმპერია, საბჭოთა კავშირი იმსხვერპლა საკუთარმა ჰიპერტროფირებულმა გეოპოლიტიკურმა ამბიციებმა, რომელთა უზრუნველსაყოფად არაადეკვატურად სუსტი აღმოჩნდა მისი ეკონომიკური სისტემა. საქართველოს დამოუკიდებლობასაც ჰქონდა თავისი ლოგიკა. განსხვავებით გავრცელებული კლიშესგან,

საქართველო არ იყო რიგითი „ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული სახელმწიფო“, რომელიც 1991 წელს სსრკ-ის დაშლამ წარმოშვა. ქართველმა ხალხმა ამ წელს თავისი უძველესი სახელმწიფო აღიდგინა. ქვეყნის ისტორიის, მათ შორის, მისი უახლესი პერიოდის გააზრების გარეშე შეუძლებელი იქნება გაგება, თუ რატომ იბრძვის საქართველო ნატრში განევრიანებისთვის და, ასევე, რატომ ვერ მიაღწია აქამდე წარმატებას.

ისტორიის დასასრული თუ წარსულის მწარე შეხსენება?

სამწუხაროდ, საქართველოს არ მისცემია საშუალება, სრულად ესარგებლა იმ სიკეთით, რაც ცივი ომის დასრულებამ და ორპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის დასრულებამ მოიტანა. მაშინ, როცა საბჭოთა ბატონობისა და კომუნისტური რეჟიმებისგან განთავისუფლებული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ერების უმრავლესობა ევროპული სტანდარტების ახალი დემოკრატიული, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების მშენებლობას შეუდგა (რაც მალე მასატრიხტის ხელშეკრულებისა და კოპენჰაგენის კრიტერიუმების სახით განისაზღვრა), საქართველო სრულიად განსხვავებული საშინაო და საგარეო გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. 70-წლიანმა საბჭოთა მმართველობამ თავისი დაღი დაასვა საზოგადოებას – სამოქალაქო საზოგადოება სუსტი იყო, ხოლო დემოკრატიისა და სახელმწიფოებრიობის ტრადიციები – დიდწილად დავიწყებული. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ერებს, რომელთა სახელმწიფოებრიობა სრულად არ იყო განადგურებული და შენარჩუნებული ჰქონდათ კრემლის მიერ კონტროლირებადი ავტონომიის გარკვეული წილი, უწევდათ თავიანთი დემოკრატიების აღდგენაზე ზრუხვა და ეკონომიკის რეფორმირება. ქართველებს კი დამატებითი გამოწვევის სახით თავად სახელმწიფოს ახლიდან მშენებლობა ელოდათ, რომელიც 1921 წელს ბოლშევიკური ოკუპაციის და ანექსიის შედეგად იყო დაკარგული. საქართველოზე ოცი წლით გვიან ანექსირებულ ბალტიის სამ ერსაც კი ჰქონდა უპირატესობა, რადგან ის თაობა, რომელიც მოესწრო დამოუკიდებლობას, ჯერაც ცოცხალი იყო და შემორჩენილი ჰქონდა გარკვეული ინსტიტუციური მეხსიერება.

ახალი ელიტა, შემდგარი უმეტესად იმ ნაციონალისტი ლი-დერებისგან, რომლებმაც იბრძოლეს კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ და დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, პოლიტიკურად და დიპლომატიურად თითქმის ტოტალურად გამოუცდელი აღმოჩნდა.

ეს სრულიად არ ამართლებს პირველი დემოკრატიულად არჩეული მთავრობის მიერ დაშვებულ შეცდომებს. როგორც მალევე გაირკვა, მოსკოვი სულაც არ შერიგებია „ისტორიის დასასრულს“, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს რეგიონში და საკუთარი წარმოდგენა ჰქონდა თავისუფლების დოზაზე, რომელიც მის ყოფილ რესპუბლიკებს უნდა მიეღოთ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს და ბალტიის რესპუბლიკებს უკვე გამოცხადებული ჰქონდათ დამოუკიდებლობა, საბჭოთა კავშირი მათ არ დაუნგრევიათ. სსრკ-ის ნამდვილი სიკვდილის ზარი მაშინ გაისმა, როცა ბორის ელცინმა, რუსეთის ახალმა ლიდერმა, მიხეილ გორბაჩივი უბრალოდ თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა, როდესაც მისი ალტერნატიული კავშირი – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) დაარსა უკრაინის და ბელარუსის ლიდერებთან ერთად. 1991 წლის დეკემბრისთვის დსთ-ს ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა შეუერთდა, ბალტიის სამი ერის და საქართველოს გარდა. ის, რაც ამას მოჰყვა, ქართველებისთვის მტკიცნეულად ნაცნობი იყო.

1920-იანი წლების დასაწყისში, როგორც კი ბოლშევიკებმა ძალაუფლება გაიმყარეს და სამოქალაქო ომში გაიმარჯვეს, პირველი, რაც მათ მოიმოქმედეს, იყო პრაქტიკულად ყველა მეზობელთან ომში ჩაბმა, ძველი იმპერიული კოლონიების დასაბრუნებლად. მხოლოდ რვა თვის შემდეგ მოსკოვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ხელმოწერიდან,¹ რომლითაც საბჭოთა რუსეთმა აღიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (სდრ) დამოუკიდებლობა და საზღვრები, წითელი არმია საქართველოში შემოიჭრა. საქართველოს თავდაცვის ძალების გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად, ბოლშევკიებმა ქვეყანა დაიპყრეს, გაანადგურეს მისი დემოკრატიული ინსტიტუტები და თავს მოახვიეს კომუნისტური რეჟიმი. ანექსიის პროცესი დასრულდა, როდესაც საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნაწილად გამოცხადდა, რომელიც რუსული იმპერიის რეინკარნაციას წარმოადგენდა. ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობა დიდწილად შეუმჩნეველი დარჩა საერთაშორისო თანამეგობრობას და სრულიად დისფუნქციურ ერთა ლიგას – აგრესის წინაშე უძლურება მალე მის სამარკო ნიშნად იქცა და იმის გარანტიად, რომ ახალი ევროპული წესრიგი განწირული იყო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განადგურება დემოკრატიის საქმისთვისაც დიდი დარტყმა იყო ომთაშორის პერიოდში. იმ დროის საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტის, ინდიანის უნივერსიტეტის პროფესორის, სტივენ ჯონ-

სის სიტყვებით, „[სდრ] ამ დროს იყო იმედის (და თავისუფლების) ჭეშმარიტი შუქურა ისეთი სოციალ-დემოკრატებისთვის, როგორიც იყვნენ ემილ ვადერველდე, კარლ კაუპი და რემზი მაკდონალ-დი, რომლებიც ეწვივნენ რესპუბლიკას და მის შესახებ წერდნენ, როგორც სიცოცხლისუნარიან დემოკრატიულ ალტერნატივაზე...“ სტივენ ჯონსი აქებს საყოველთაო საარჩევნო უფლებას, რომელიც საქართველომ უფრო ადრე შემოიღო, ვიდრე ევროპის უმეტესმა ქვეყანამ (ალსანიშნავია, რომ არჩევით თანამდებობაზე პირველი მუსლიმი ქალიც საქართველოში აირჩიეს).², პოლიტიკურ პლურალიზმს და სამართლიან არჩევნებს, რომელთა შედეგადაც ჩამოყალიბდნენ ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტები. ჯონსი ამბობს: „...პირველი რესპუბლიკა წარმოუდგენელ მილნევას წარმოადგენდა. სამოქალაქო უფლებები და პროტესტის უფლება აღიარებული იყო და მეტნილად – სამართლებრივად დაცული. ის უზრუნველყოფდა დემოკრატიის ორ უმთავრეს ინსტიტუციურ გარანტიას – მოწილეობის უფლებას და საზოგადოებრივი წინააღმდეგობის უფლებას, რაც გამოხატვის თავისუფლებასაც მოიცავს, ორგანიზაციების შექმნის და მათში განევრიანების უფლებას, ხმის მიცემის უფლებას და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უფლებას სახელმწიფოსგან“.³

საბედნიეროდ, 1991 წელს მეორედ ჩამოყალიბებული საქართველოს რესპუბლიკა ისევე უეცრად არ დასრულებულა, როგორც პირველი, მაგრამ მისი გამოწვევების ხასიათი ადვილად საცნობი იყო. ისევე, როგორც ბოლშევიკებმა, რომლებიც თავს ინტერნაციონალიზმზე დებდნენ, მაგრამ იმგვარ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდნენ, რომ მეფის რუსეთსაც კი შეშურდებოდა, ელცინმა, თითქოსდა დემოკრატიული რუსეთის ლიდერმა, პრიორიტეტად ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გაკონტროლება აქცია, თანაც – ყველაზე სასტიკი მეთოდით. მან საქართველოს მთავრობას ულტიმატუმი წაუყენა, რომ ხელი მოეწერათ დასტ-ში განევრიანებაზე 1991 წლის 21 დეკემბრამდე, როდესაც ყაზახეთის დედაქალაქში თანამეგობრობის პირველი სამიტი იყო დაგეგმილი.⁴ საქართველომ უარი თქვა და წინააღმდეგობისთვის დაუყოვნებლივ დაისაჯა. 22 დეკემბერს შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა მთავრობის სახლს ცეცხლი გაუხსნეს. მომდევნო მოვლენებს უფრო ხშირად „სამოქალაქო ომად“ მოიხსენიებენ, მაგრამ ეს რეალურად რუსეთის ხელშეწყობილი გადატრიალება იყო. 1992 წლის 6 იანვრისთვის საქართველოს პირველი დემოკრატიულად არჩეული მთავრობა დამხობილი იყო, მის ლიდერს კი საზღვარგარეთ მოუწია გახიზვნა.

ბედის ორონიით, რადგან საკუთარი დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე ბრძოლით იყვნენ დაკავებული, ქართველებს გამოეპარათ საბჭოთა კავშირის აფიციალურად დაშლის ისტორიული მომენტი, როდესაც 1991 წლის 25 დეკემბერს მიხეილ გორბაჩივმა თავისი გადადგომის შესახებ ტელევიზიით გამოაცხადა.

ამის შემდეგ გამეფებულ ქაოსში მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნდა ედუარდ შევარდნაძე – საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი (1985-1990) და საქართველოს კომუნისტი მმართველი დიდი ხნის განმავლობაში (1972-1985) და ძალაუფლება ჩაიბარა. როგორც აღმოჩნდა, ამან კრემლი არ დააკმაყოფილა და გააგრძელა საქართველოს მიმართ ძირგამომთხრელი პოლიტიკა: საქართველოს დამოუკიდებლობის ამბიციების აღსაკვეთად ეთნიკური კონფლიქტების გაღვივება და გამოყენება ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო, ხოლო კრემლის ახალმა მესვეურებმა იმავე ხერხს მიმართეს, რომ არ დაეშვათ საქართველოს გასვლა მათი ორბიტიდან. ამას 1992-1993 წლებში საქართველოს შავი ზღვისპირა რეგიონში, აფხაზეთში, დამაქცეველი ომი მოჰყვა, რომლის დროსაც სეპარატისტებმა მოსკოვის სრული სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერა მიიღეს. შედეგად აფხაზეთში მოხდა ეთნიკური წმენდა თითქმის მთლიანი ქართული მოსახლეობისა, რომელიც 1993 წლამდე რეგიონში ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდა. სრული კაპიტულაციის შემდეგაც კი, რაც დსთ-ში განევრიანებაში და ძალოვან მინისტრებად რუსული კადრების მიღებაში გამოიხატა, ბევრი არაფერი შეცვლილა. მაგრამ როგორც კი შევარდნაძემ ქვეყანაში წესრიგის დამყარება დაიწყო – ალკეთა შეიარაღებული დაჯგუფებების თარეში, რომელებმაც მისი წინამორბედი დაამხეს, შემოიღო ახალი კონსტიტუცია და ენერგეტიკულ პროექტებზე საერთაშორისო პარტნიორებთან თანაბმრომლობა დაამყარა, მისი ლიკვიდაციის მცდელობა მოჰყენა. მთავარ ეჭვმიტანილად მისივე უშიშროების მინისტრი, კვბ-ის ყოფილი ოფიცერი, მოსკოვის კადრი იგორ გიორგაძე იქცა, მაგრამ ის რუსეთში გაიქცა, სადაც დღემდე ცხოვრობს.

ისევე, როგორც 1920-იან წლებში, დასავლეთს, რომელიც მოცული იყო ცივი ომის დასრულების ეიფორიით (და მისგან დაღლილი), არ გამოუჩენია კიდევ ერთ ეთნიკურ კონფლიქტში ჩარევის ხალისი, რომელიც „ისტორიული სიძულვილით“ ან „პრიმიტიული ნაციონალიზმით“ იყო მოტივირებული, თანაც ერთ შორეულ ქვეყანაში, რომელის შესახებ არაფერი იცოდნენ. შედეგად, საერთაშორისო თანამეგობრობამ (გაეროს და ეუთოს სახით) კონ-

ფლიქტის მოგვარება რუსეთს გადაულოცა, რომელიც თავად იყო კონფლიქტის მხარე. ძნელი იყო იმის არ შემჩნევა, რომ რუსეთი არ იყო დაუინტერესებელი მხარე და აქტიურად უწყობდა ხელს სეპარატიზმს აფხაზეთშიც და ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც, აიარალებდა მათ და ხშირად უშუალოდ მონაწილეობდა კიდეც საბრძოლო მოქმედებებში ამბოხებულების მხარეს. მაგრამ ამას ან ყურადღებას არ აქცევდნენ, ან ეგუებოდნენ. საუკეთესო შემთხვევაში, დასავლეთი ამჯობინებდა თავი აერიდებინა რუსეთთან დაპირისპირებისთვის საქართველოს მიმართ გამოვლენილი აგრესის გამო იმის იმედით, რომ ელცინი, მას შემდეგ, რაც ძალაუფლებას განიმტკიცებდა, რუსეთს დასავლეთის ნამდვილ პარტნიორად აქცევდა. ბოლოს და ბოლოს მას გამოცხადებული ჰქონდა, რომ მისი ხელმძღვანელობით რუსეთი ნამდვილ დემოკრატიად უნდა გარდაქმნილიყო. გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება კიდევაც დაიწყო, რომლებსაც სრული მხარდაჭერა ჰქონდათ რუსეთის ევროპელი და ამერიკელი პარტნიორების მხრიდან. ამგვარად, როგორც Realpolitik-ის მიმდევრებმა, ისე იდეალისტებმა არჩიეს რუსეთის ავისმომასწავებელი ქცევისთვის მის „ახლო სამეზობლოში“ ყურადრება არ მიექციათ და ამით განაპირობეს, რომ ახალი ევროპული წესრიგის ჩამოყალიბება (რომელიც დამყარებული იქნებოდა ერთა თვითგამორკვევაზე) აღარ დასრულდა: საქართველო კიდევ ერთხელ აღმოჩნდა გეოპოლიტიკის სასაზღვრო ზონაში ან, თუნდაც, ისტორიის ფრონტის ხაზზე.

ელცინის მოტივებს ყველა გულუბრყვილოდ არ უყურებდა. გაფრთხილებები ყველაზე ავტორიტეტული წყაროებიდანაც გაისმა, რომ ვაი-Realpolitik-ას მეტი ზიანის მოტანა შეეძლო, ვიდრე სარგებელის. 1990-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა კისინჯერმა, თავად Realpolitik-ის ცნობილმა მომხრემ, ამგვარი გაფრთხილება ხმამაღლა და გასაგებად გააუღერა: „ტრადიციული რუსული იმპერიული ამბიციების აღორძინებაზე თვალის დახუჭვა მხოლოდ ავნებს და არ დაეხმარება რუსულ რეფორმებს“.⁵

ეს გაფრთხილება წინასწარმეტყველურად იქცა – 1999 წლის ბოლოსთვის ელცინის მიერ აშენებული პოლიტიკური სისტემა არც დემოკრატიული იყო და არც ეფუქტური. მან რუსულ საზოგადოებაში თავად დემოკრატის იდეის მიმართ სრული იმედგაცრუება (და სიძულვილიც კი) გამოიწვია, ხოლო მემკვიდრეობად, სიღარიბის და უკანონობის გარდა, ვლადიმირ პუტინი დატოვა, რომელსაც ახალი წლის წინა ღამეს პირადად გადასცა ძალაუფლება. ელცინისგან ხონჩით მირთმეული ძალაუფლება პუტინს დღემდე უპყრია

და, როგორც ჩანს, მისი ხელიდან გაშვებას სიცოცხლის ბოლომდე არ აპირებს.

თუ კგბ-სთან დაკავშირებული პუტინის ბიოგრაფია არასაკ-მარისი საფუძველი იყო შეშფოთებისთვის, ახალი ლიდერის როლში მისი პირველი ნაბიჯები მაინც უნდა გამხდარიყო იმის მანიშნებელი, თუ რა მოხდებოდა. კგბ-დან თავის ამხანაგებთან ერთად მან სრული პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება მის მიერ „ძალაუფლების ვერტიკალუად“ წოდებულ სისტემაში მოიხვეჭა,⁶ აღადგინა სტალინის დროინდელი საბჭოთა პიმზი და ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლას „მეოცე საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“ უწოდა. მისი იდეოლოგიური მიდრეკილებები კი ცალკე განხილვას იმსახურებს.⁷ მოკლედ, პუტინი პირდაპირ დაუპირისპირდა ცივი ომის დასრულების შედეგად წარმოქმნილ რეალობას და მის შემოსაბრუნებლად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო.

ჩემი აზრით, ეს წარმოადგენდა ცივი იმის შემდგომი ხანის დასასრულს, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი ამას ან არ ამჩნევდა, ან უარს ამბობდა რეალობის აღიარებაზე. და კვლავაც, გაფრთხილებები უყურადღებოდ დარჩა: როდესაც ედვარდ ლუკასმა, უურნალ „ეკონომისტის“ უფროსმა რედაქტორმა, 2008 წლის თებერვალში გამოაქვეყნა წიგნი, სათაურით „ახალი ცივი ომი“, ბევრმა ის სერიოზულად არ აღიქვა, ზოგმა კი გაპრაზებული კომენტარები მიუძღვნა. მაშინაც კი, როცა ძირგამომთხრელი საქმიანობისა და თავისი პაიკების მეშვეობით განხორციელებული შეტევებიდან რუსეთი ღია ომზე გადავიდა, არაერთმა დასავლელმა ლიდერმა ამჯობინა დაყვავების პოლიტიკა. ზოგმა მსხვერპლის – საქართველოს – დადანაშაულება უფრო ხელსაყრელად ჩათვალა „დათვის გალიზიანებისთვის“ ან ბრალეულობა ორ მხარეზე თანაბრად გადაანაწილა. შედეგი რუსეთის ახალი აგრესია იყო, ოღონდ ამჯერად ევროპის საზღვრებთან ბევრად უფრო ახლოს, უკრაინაში, ზუსტად ისე, როგორც ამის შესახებ ლონდონში 2008 წლის აგვისტოში, ალჯაზირასთვის მიცემულ ინტერვიუში ვთქვი: „რუსეთი დასავლეთთან შეჯახების კურსს ადგას და რაც უფრო დიდხანს არ მოხდება რეაგირება, მით უფრო ღრმად ევროპის ტერიტორიაზე მოხდება ეს შეჯახება და მით უფრო მტკიცნეული იქნება“.⁸ რუსეთის აგრესიამ უკრაინაში, რომელის დროსაც გამოვლინდა ე.ნ. „გერასიმოვის დოქტრინის“ ელემენტები,⁹ რუსეთის ჩარევამ აშშ-ის არჩევნებში და სხვაგან, შეცვალა დამოკიდებულება და ნათელი გახადა, რომ რუსეთი დაკავებულია ცივი ომის სტილის

ქმედებებით აშშ-ის, ევროპისა და მათი კოლექტიური უსაფრთხოების სტრუქტურების წინააღმდეგ. ამჟამად ცივი ომის შემდგომი პერიოდის დასრულება მეტ-ნაკლებად საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია. ცივი ომი ისე დასრულდა, რომ ვერ შეიქმნა მდგრადი საერთაშორისო წესრიგი. აღბათ ამიტომ ამ ხანას საკუთარი სახელიც კი არ ერგო. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ ის ისტორიაში „ომთა შორის ხანა“ არ შევა, როგორც პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი, რომელმაც ასევე ვერ შექმნა სტაბილური და სამართლიანი მსოფლიო წესრიგი.

საქართველო და ნატო – მოკრძალებული დასაწყისიდან მჯიდრო პარტნიორობამდე

სწორედ ამ ისტორიულ ფონზე გადადგა საქართველომ ნატოსთან თანამშრომლობისკენ პირველი ნაბიჯები, როდესაც 1992 წელს ის ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს შეუერთდა (1997 წლიდან დაერქვა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო). 1994 წელს კი საქართველო ნატოს პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ მონაწილე გახდა. თუმცა, ორგანიზაციაში სრულუფლებიანი წევრობის სურვილი პირველად მხოლოდ 2002 წელს გამოიტქვა.

2003 წელს საქართველოში დასრულდა შევარდნაძის ხანა. თავისი მმართველობის დასაწყისში მას საქართველოს ვექტორის რუსეთისკენ შებრუნება მოუწია, მაგრამ თანდათანობით დაამყარა კავშირები დასავლეთთან და საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის, როგორც შავი ზღვისა და კასპიის ზღვის რეგიონების დამაკავშირებელი ხიდის გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ საერთაშორისო ფუნქციას. მაგრამ, ამავე დროს, მან ვერ შეძლო ქვეყანაში სისტემური კორუფციის დამარცხება და გაყალბებული არჩევნების გამო გამოწვეული „ვარდების რევოლუციის“ სახელით ცნობილი მშვიდობიანი საპროტესტო ტალღის შედეგად გადადგა.

ახალმა პრეზიდენტმა – მიხეილ სააკაშვილმა თავდაპირველად სცადა რუსეთთან საქართველოს პრობლემური ურთიერთობების მოგვარება. ის საზღვარგარეთ თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტით პუტინს ეწვია, რომელმაც ის პირობებიც კი არ დაუსახელა, რომელთა საფუძველზეც რუსეთი განიხილავდა საქართველოს მიმართ დამოკიდებულების შეცვლას. სამაგიროდ, როგორც სააკაშვილმა თქვა, პუტინმა მას ურჩია შევარდნაძის

დროინდელი უშიშროების მინისტრის, ასევე კგბ-ის ყოფილი ოფიცრის თანამდებობაზე დატოვება. ამ მომენტიდან საქართველომ გააათმაგა პროდასავლური ძალისხმევა. 2004 წელს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომლისთვისაც ნატომ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP) შექმნა. ნატომ ეს მექანიზმი იმ ქვეყნებისთვის შეიმუშავა, რომლებმაც „ნარმოაჩინეს პოლიტიკური ნება გააღრმავონ თავიბნთი ურთიერთობა ნატოსთან“.¹⁰ ამავე წელს საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა თავისი ჯარის გაგზავნა ერაყში და შეუერთდა ნატოს ოპერაციას ავღანეთში. 2008 წლის აგვისტოში (რუსეთის თავდასხმის დროს), როცა მათი გამოყვანა გახდა საჭირო, საქართველოს ერაყში 2000 ჯარისკაცი ჰყავდა. ეს სიდიდით მესამე კონტინგენტი იყო აშშ-ის და გაერთიანებული სამეფოს შემდეგ. ამავე პერიოდში საქართველომ 16-მდე გაზარდა თავისი კონტინგენტი კოსოვოში, სადაც ის 1990-იანი წლებიდან იყო განლაგებული. საქართველო დღეს ავღანეთში 870 ჯარისკაცითაა ნარმოდებული და ეს ნატოს არანევრ ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი კონტინგენტია.

2005 წლის 10 მაისს, თბილისში ვიზიტის დროს, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საქართველოს კვლავ უწოდა „თავისუფლების შექურა“.¹¹ ისტორიული იროვნით მაშინ, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ევროპელი მემარცხენე-ცენტრისტების (სოციალ-დემოკრატების) ქებას იმსახურებდა, ვარდების რევოლუციის შემდგომი საქართველო მემარჯვენე ცენტრისტების სათაყვანებელ მოდელად იქცა. თბილისი მემარჯვენე დასავლელი პოლიტიკოსების მექა გახდა, რომლებსაც სურდათ საკუთარი თვალით ეხილათ ბიუროკრატის და რეგულაციების შემცირების, პოლიციის რეფორმის შედეგები¹² და იუსტიციის სახლები¹³, ასევე – ლაფერის მრუდე მოქმედებაში. სამწუხაროდ, ბუშის ადმინისტრაციისა და ზოგიერთი ევროპელი პოლიტიკოსის კეთილგანწყობას მოულოდნელი გართულებებიც მოჰყვა. მართალია, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ამ პერიოდში კანონის უზენაესობასთან და ზოგადად დემოკრატის მდგომარეობასთან დაკავშირებით შესფოთების სრულიად ობიექტური მიზეზებიც არსებობდა, ბუშთან და „ნეოკონებთან“ ასოცირება საკმარისი იყო ზოგიერთი ევროპელი ლიდერისთვის, რომ სააკაშვილისა და მისი მთავრობის მიმართ უნდობლობით ყოფილიყო განმშტალული.

2005 წელსვე ნატომ თავისი პირველი მოკავშირე ოფიცრები გამოგზავნა საქართველოში და მომდევნო წელს თბილისში ნატოს სამოკავშირეო ოფისიც გახსნა. მომდევნო ნაბიჯი გადაიდგა 2006

წლის ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, როდე-
საც დასაბამი მიეცა ე.ნ. ინტენსიურ დიალოგს, რაც გულისხმობ-
და კონსულტაციებს პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებზე,
კონფლიქტის მოგვარებაზე, თავდაცვაზე, ეკონომიკასა და სხვა
საკითხებზე.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი 2008
წელს დადგა, როდესაც არსებული ვალდებულებების წარმატებით
შესრულების შემდეგ საქართველოს ნატოში განევრიანების სამოქ-
მედო გეგმა (MAP) უნდა მიეღოთ ნატოს ბუქარესტის სამიტზე.
როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ დროს საქართველო უკვე ცნობილი
იყო, როგორც ნატოს და აშშ-ის ოპერაციებში ერთ-ერთი ყველაზე
დიდი წვლილის შემტანი, რომელსაც ერაყსა და ავღანეთში უფრო
მეტი ჯარისკაცი ჰყავდა გაგზავნილი, ვიდრე ნატოს წვერი ქვეყ-
ნების აბსოლუტურ უმრავლესობას.¹⁴ მაგრამ საქართველოსთვის
MAP-ის მინიჭება (რაც თავისთავად მასში განევრიანების გარან-
ტიას არ წარმოადგენდა, მაგრამ მისკუნ მიმავალ გზაზე აუცილე-
ბელი ეტაპი იყო) წინააღმდეგობას წააწყდა ნატოს რამდენიმე ქვეყ-
ნის მხრიდან, გერმანიის ლიდერობით. ზოგიერთი დამკვირვებელი
აღნიშნავდა, რომ ანგელა მერკელი სააკაშვილის მიმართ ზიზღს
განიცდიდა.¹⁵ მიუხედავად იმისა, ეს მართალია თუ არა, ეს ნამდ-
ვილად არ ყოფილა გერმანიის პოზიციის ერთადერთი ან თუნდაც
ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი. სრულიად
აშკარად იყო ნაჩვენები, რომ გერმანიის აზრით, საქართველოსთვის
MAP-ის მინიჭებას რუსეთი პროვოკაციად აღიქვამდა და პუტინს
კონტრზომების საბაბს მისცემდა. ჩემი პირადი აზრით, რამდენა-
დაც არასასიამოვნო უნდა იყოს ამის თქმა, გერმანიის ლიდერე-
ბი მაშინ რუსეთთან თავიანთ ორმხრივ ურთიერთობებზე უფრო
ფიქრობდნენ, ვიდრე საქართველოს დემოკრატიის მდგომარეობაზე
ან, თუნდაც, ნატოს საერთო ინტერესებზე. Die Russland-Versteher
(„ვისაც რუსეთის ესმის“) ტრადიციულად საუბრობდნენ რუსეთის
„წუხილზე“, რომელსაც ნატოს მიერ მის „ალყაში მოქცევის მცდე-
ლობა“ იწვევდა. ეს ბრალდება გაუგონრად სულელურად უღერს
იმ ფაქტის ფონზე, რომ რუსეთის საერთო საზღვრის სიგრძე 60
932 კოლომეტრია (!), რომლიდანაც სახმელეთო საზღვარი 22 125
კილომეტრს შეადგენს, ხოლო ნატოს წევრ ქვეყნებთან აქედან მხ-
ოლოდ 1215 კილომეტრი მოდის. მაგრამ ამგვარი მიდგომა არც
ახალია და არც გერმანიითა შემოფარგლული. ჯერ კიდევ 1940-იან
წლებში ფრანკლინ რუზველტის დროინდელი ვიცე-პრეზიდენტი და
ტრუმენის ადმინისტრაციის სოფლის მეურნეობის მდივანი ჰენრი

ვოლესი ამტკიცებდა, თითქოს სტალინის აგრესიული საქციელი ომის დასრულების შემდეგ „კაპიტალისტური ალყის“ შიშით იყო განპირობებული. მეორე მსოფლიო ომამდე ამგვარი მიდგომა დაყვავების პოლიტიკაში გამოიხატა. შედეგად, ბუშის ადმინისტრაციის ძალისხმევის მიუხედავად, გერმანია შეუვალი დარჩა და ბუქარესტის სამიტზე საქართველომ სრულიად დამსახურებული MAP-ი ვერ მიიღო, ხოლო სანაცვლოდ დაპირდნენ, რომ ის (და უკრაინა) ერთ დღეს ნატოს წევრები გახდებოდნენ, ოლონდ დროისა და განევრიანების მექანიზმის დაზუსტების გარეშე.

მოულოდნელი არ ყოფილიყო, რომ პუტინმა ნატოს წევრებს შორის ერთიანობის არარსებობა შესაძლებლობად აღიქვა. აღმოჩნდა, რომ რამაც მართლა გამოიწვია პუტინის პროვოცირება, იყო გამოჩენილი სისუსტე და დაყვავების პოლიტიკა. ჯერ კიდევ თებერვალში მას უკვე ნათქვამი ჰქონდა, რომ კოსოვოს აღიარების შემთხვევაში, რუსეთს თავისი საშინაო გეგმა ჰქონდა მომზადებული.¹⁶ მას საქართველოზე თავდასხმა ამაზე დიდი ხნით ადრე ჰქონდა განზრახული (როგორც პუტინმა თავის 2009 წლის ინტერვიუში აღიარა, მას გენერალური შტაბისთვის საქართველოში სამხედრო ოპერაციის გეგმის მომზადება ჯერ კიდევ 2006 წელს ჰქონდა გაცემული).¹⁷

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პუტინს ჰქონდა საქართველოზე თავდასხმის გეგმა, ქვეყანაზე, რომელიც შეუმდგარი სახელმწიფოდან მისი პოლიტიკური მოდელის წარმატებულ აღტერნატივად გარდაიქმნა. კოსოვოს აღიარებამ მას საბაბი მისცა (მიუხედავად ორ შემთხვევას შორის უზარმაზარი განსხვავებისა – კოსოვოში დასაცლეთმა მხარი დაუჭირა ეთნონმენდის მსხვერპლს, საქართველოში რუსეთმა ხელი შეიწყო ეთნონმენდას), ხოლო ბუქარესტის სამიტმა აღიანსში ერთიანობის არარსებობით აჩვენა, რომ ხელსაყრელი დრო დადგა. პუტინის გათვლა სწორი გამოდგა: 2008 წლის აგვისტოს აგრესის შემდეგ არ ყოფილა შემოღებული სერიოზული სანქციები და რამდენიმე თვეში, გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე, დასავლეთი რუსეთთან ჩვეულ ურთიერთობებს დაუპრუნდა. როგორც უკვე ვახსენე, ამან მხოლოდ გაათამამა პუტინი და რამდენიმე წელში უკრაინას დაესხა თავს.

2008 წლის ომი დიდი დარტყმა იყო, მაგრამ მას არ შეუჩერებია საქართველოს სწრაფვა ნატოსკენ, როგორც ამას პუტინი იმედოვნებდა. 2008 წლის აგვისტოშივე ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა ჩამოაყალიბეს ნატო-საქართველოს კომისია (NGC), რომელიც წარმოადგენს ფორუმს პოლიტიკური კონსულტაციები-

სთვის და ზედამხედველობას უწევს საქართველო-ნატოს პრაქტიკულ თანამშრომლობას. 2008 წლის შემდეგ საქართველოს ნატო ყოველწლიურად წარუდგენს წლიურ ეროვნულ პროგრამას, რომელიც მოიცავს რეფორმების გეგმას საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფების ხელშესაწყობად. პროგრამის ფარგლებში, ნატო საქართველოს აძლევს მრავალმხრივ რეკომენდაციებს რეფორმების გეგმასთან დაკავშირებით, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ფორმატში.¹⁸

2011 წლის 7 დეკემბერს საქართველო ოფიციალურად აღიარეს ნატოს ასპირანტ ქვეყნად. 2014 წლის ნატოს უელსის სამიტზე საქართველო აღიარეს ნატოს „ყველაზე ინტერიპერაბელურ პარტნიორად“ და გაზრდილი შესაძლებლობების პარტნიორის სტატუსიც მიანიჭეს ავსტრიალიასთან, იორდანიასთან, ფინეთთან და შვედეთთან ერთად. სამიტმა ასევე შეიმუშავა „ნატო-საქართველოს არსობრივი პაკეტი“, რომლის მიზანია საქართველოს თავდაცვისუნარიანობის და ნატოს ძალებთან ერთად ოპერირების უნარის გაძლიერება და საქართველოსთვის აღიანსში განვირიანების საქმეში დახმარების განევა.¹⁹ არსებითი პაკეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინიციატივაა ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნის და შეფასების ცენტრი (JTEC). ის თბილისში 2015 წელს გაიხსნა და მისი ფუნქციაა საქართველოს დახმარება უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის რეფორმირებაში, მოდერნიზაციასა და გაძლიერებაში. ის იძლევა მრავალეროვნული წვრთნების შესაძლებლობას, რაც ხელს უწყობს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, ნატოს წევრი ქვეყნების და დაინტერესებული პარტნიორი ქვეყნების თანამშრომლობას. რეგიონული წვრთნების საშუალებით ცენტრი ასევე ხელს უწყობს შავი ზღვის და კავკასიის რეგიონის სტაბილურობას. JTEC რეგულარულად მასპინძლობს ერთობლივ სამხედრო სწავლებებს ნატოს 21 წევრი ქვეყნის და 3 პარტნიორი ერის მონაწილეობით.

ახლა აუცილებელია პოლიტიკური ნება, რათა გადავიდეთ შემდეგ ეტაპზე. აუცილებელია რუსეთისთვის მკაფიო სიგნალის გაგზავნა, რომ მისი პროვოკაციები ვერ შეაჩერებს საქართველოს წინსვლას ნატოსკენ. ამის გარეშე ჩრდილოელ მეზობელს მუდმივად ექნება ჩვენს ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევის ცდუნება. ნატოს შიგნით საქართველოს მიმართ სკეპტიკურად განწყობილება, ასევე მათ, ვინც ენინააღმდეგება ნატოს შემდგომ „ექსპანსიას“, უნდა გაიგონ, რომ მეზობლების წევრობა ნატოში რუსეთს საფრთხეს არ უქმნის, ეს მხოლოდ ზღუდავს რუსეთის უნარს, დაჩაგროს ისინი და თავს დაესხას. რუსეთის კატეგორიული წინააღ-

მდეგობა იმის მიმართ, რასაც „ნატოს ექსპანსიას“ უწოდებს და რაც სინამდვილეში მისი ყოფილი კოლონიებისა და ვასალების მიერ უსაფრთხოების ფარის მოპოვებას ნიშნავს, მხოლოდ აშიშვლებს რუსეთის ჭეშმარიტ ზრახვებს. მეტიც, რუსეთის ეროვნული ინტერესებისთვის საუკეთესო იქნებოდა სტაბილური, მეგობრული და კეთილდღეობამოპოვებული სამეზობლო (ისეთი, როგორის შექმნა-საც ცდილობს თავის აღმოსავლეთით ევროკავშირი „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ინიციატივით). სამწუხაროდ, კრემლი ზუსტად საპირისპიროდ იქცევა და ყველაფერს აკეთებს, რომ არ დაუშვას ალტერნატივული პოლიტიკური სისტემის ნარჩატება, რასაც შინ იმპერიის ქიმერით და „ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის“ ზღაპრებით ამართლებს. ეს ყველაფერი კი მხოლოდ პუტინისა და მისი „მაგარი ბიჭების“ გუნდის ძალაუფლების სამუდამოდ შენარჩუნების ინტერესს ემსახურება.

დასკვნა

დაბოლოს, საქართველო უეჭველად იმსახურებს ნატოს წევრობას. ჩვენ ევროპული ერი ვართ, რომელიც მრავალი წარუმატებლობისა და შეცდომის მიუხედავად, ადგას ევროპული დემოკრატიის მშენებლობის გზას. რეფორმებით და წლების განმავლობაში წატოს მისიებში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილით ქვეყანამ დაამტკიცა, რომ ის ატლანტიკური აღლიანის სერიოზული და სანდო პარტნიორია.

წატოს, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად წაადგება საქართველოს წევრობა. საქართველოს წევრობა წატოში არა მხოლოდ ხელს შეუწყობს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას, არამედ გააძლიერებს ენერგომატარებლებისა და სატრანსპორტო მაგისტრალების სტაბილურობას, რომელებიც კასპიის რეგიონს დასავლეთის ბაზრებთან აკავშირებენ. ცენტრალური აზისთვის, რომელსაც დასავლეთიდან რუსეთი და ორანი ემიჯნება (და აღმოსავლეთიდან – ჩინეთი), საქართველო შავი ზღვის რეგიონთან დამაკავშირებელი ერთადერთი ალტერნატივული კარიბჭეა.

ამასთან, საქართველოს განევრიანება წატოში მხოლოდ ქართველი ხალხის მისწრაფების და გაღებული მსხვერპლის დაფასება არ იქნება. ამით წათელი გახდება, რომ მსოფლიო არ დაუპრუნდება ცივი ომის რეალობასა და გავლენის სფეროებს. მაგრამ თუ ასეც მოხდება, ვინ გაამტყუნებს ქართველებს, რომ მათ ისტორიის სწორ მხარეს სურთ ყოფნა?

ბიბლიოგრაფია

1. Treaty of Moscow (text) (Available at: www.matiane.wordpress.com/2010/03/01/treaty-of-moscow-1920/ ნანახია: 11.07.2020)
2. William Dunbar, *The First Democratically Elected Woman Was From Georgia* (Available at: www.eurasianet.org/the-worlds-first-democratically-elected-muslim-woman-was-from-georgia, ნანახია: 11.07.2020).
3. Stephen Jones, *On the 90th Anniversary of the DRG*, (Available at: www.matiane.wordpress.com/2009/08/30/stephen-jones-on-the-90th-anniversary-of-the-democratic-republic-of-georgia/; ნანახია: 11.07.2020).
4. The CIS Declaration, 21 December, 1991 (Available at: www.cis.minsk.by/news/7264/21-dekabra-1991-goda-v-kazahstane-glavy-odinnadcati-suverennyh-gosudarstv-prinali-alma-atinskuu-deklaraciu; ნანახია: 11.07.2020)
5. Henry Kissinger, *Diplomacy* (New York: Simon & Schuster, 1994), 818.
6. Andrew Monaghan, *The Russian Vertkal, The Tandem, Power and The Elections* (London, Chatham House, 2011)
7. იბ.: Timothy Snyder, *Ivan Ilyin, Putin's Philosopher of Russian Fascism* (New Your Review of Books, Available at: www.nybooks.com/daily/2018/03/16/ivan-ilyin-putins-philosopher-of-russian-fascism/, ნანახია: 11.07.2020)
8. Giorgi Badridze, Aljazeera interview (Available at: www.youtube.com/watch?v=cPvd2allUONC, ნანახია: 11.07.2020)
9. ტექნიკურად ამგვარი დოქტრინა არ არსებობს, ტერმინი ეკუთვნის ჟურნალისტ მარკ გალეოტის, ეფუძნება გენერალ გერასიმოვის 2013 წლის სიტყვას, მაგრამ როგორც მოვლენებმა აჩვენა, რუსეთი მას ჰიბრიდული ომის პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ იყენებს.
10. Individual Partnership Action Plan (ხელმისაწვდომია: www.nato.int/cps/en/natolive/topics_49290.htm, ნანახია: 11.07.2020)
11. CNN Bush: Georgia "Beacon of Liberty" (ხელმისაწვდომია: www.edition.cnn.com/2005/WORLD/europe/05/10/bush.tuesday/, ნანახია: 11.07.2020)
12. Revolutionary Tactics: From Georgia to Ukraine? A discussion of the Georgian reforms at Legatum Institute with Anne Applebaum, Peter Pomerantsev, Geoffrey Robertson QC, and Giorgi Badridze (www.youtube.com/watch?v=eQ4SbZ4-Ybs)
13. ქართული იუსტიციის სახლების განხილვა ბრიტანეთის ლორდთა პალატაში, 2012 წლის 11 ივნისი (www.youtube.com/watch?v=DX3MPRjuQe8)
14. Georgia still has the largest non-NATO contributor to the Resolute Support mission in Afghanistan with 870 troops, the fifth largest contingent.

15. Andrew Cockburn. *The Bloom Comes off the Georgian Rose*, (Harper's Magazine, www.harpers.org/blog/2013/10/the-bloom-comes-off-the-georgian-rose, ნანახია: 11.07.2020).
16. Путин: “у нас есть домашние заготовки на случай признания независимости Косова” (ხელმისაწვდომია: www.vesti.ru/article/2213296)
17. Заявление Путина о плане операции в Южной Осетии (ხელმისაწვდომია: www.russian.rt.com/inotv/2012-08-09/Zayavlenie-Putina-o-plane-operacii)
18. NATO-Georgia Relations (ხელმისაწვდომია: www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2019_10/20191002_191002_Media_Backgrounder_Georgia_en.pdf, ნანახია: 12.07.2020)
19. NATO-Georgia Relations (ხელმისაწვდომია: www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2019_10/20191002_191002_Media_Backgrounder_Georgia_en.pdf, ნანახია: 12.07.2020)